

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს სხდომის

ოქმი N 2

ქ.თელავი

2016 წლის „26“ იანვარი

თავმჯდომარეობდა : თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე
ნ.ჯანდიერი

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები :

პ.გიორგობიანი, ნ.მაისურაძე, ნ.ცამიციძე, ნ.ხვისტანი,ზ.ლილუაშვილი, საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: მ.ხიზანიშვილი, საკრებულოს წევრი: გ.აზიკური, საკრებულოს
აპარატის უფროსი ს.მეგუთნიშვილი,აგრეთვე საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

დღის წესრიგი

1. საკრებულოს თავმჯდომარის პ.გიორგობიანის ინფორმაცია ადგილობრივი
თვითმმართველობის საკითხებზე ბათუმში ჩატარებული რესპუბლიკური თათბირ-
სემინარის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ.
მომხს.პ.გიორგობიანი

მოისმინეს: 1. საკრებულოს თავმჯდომარის პ.გიორგობიანის ინფორმაცია
ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე ბათუმში ჩატარებული
რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ.

მომხს.პ.გიორგობიანი

პ.გიორგობიანმა აღნიშნა, რომ 2016 წლის 21-25 იანვარს ბათუმში ჩატარდა
რესპუბლიკური თათბირ-სემინარი ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე. მის
მუშაობაში თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღეს
საკრებულოს თავმჯდომარემ პ.გიორგობიანმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ
მ.ხიზანიშვილმა, საკრებულოს წევრებმა გ.აზიკურმა და ტ.დარეჯანიშვილმა. აღნიშნულ
შეხვედრაზე მოხდა კოლეგების სამუშაო გამოცდილების გაზიარება, შემუშავდა

კონკრეტული რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური და შედეგებზე ორიენტირებული ღონისძიებების განსახორციელებლად. თათბირ-სემინარზე მოისმინეს პ.გიორგობიანის ინფორმაცია თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, რომლის დროსაც დადებითად იქნა შეფასებული თელავის მუნიციპალიტეტში დანერგილი მუშაობის ფორმები და მეთოდები.

გაკეთებული ინფორმაციის დასარულს პ.გიორგობიანმა პასუხები გასცა სხდომის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

აზრი გამოთქვას: ნ. ცაძიკიძემ, ნ.ჯანდიერმა, ნ.ხვისტანმა

დაადგინეს: 1. პ.გიორგობიანის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებული იქნას ცნობად.

ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე ნ.ჯანდიერი